პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მაისი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 107 (15320)

სიტყვა თქვენზეა, მეჩაიეებო!

ერთმანეთის და მშვიდობის დღესასწაული — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — მაისობა მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს, მათ გამოხატეს მზადყოფნა განუხრელად განახორციელონ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი — კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა.

ამ ამოცანების შესასრულებლად აქტიურად იბრძვიან საქართველოს მშრომელები, რომელთა წარმატებების ერთ-ერთ წინა ხაზზე არიან რესპუბლიკის სახელოვანი მეჩაიეები.

შუახედავად წლევანდელი ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრისა, მეჩაიეებმა ყველაფერი იღონეს ჩაის პლანტაციების აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებისათვის. ახლა უკვლგან საბოლოოდ ამოწმენენ თავიანთ მზადყოფნას ჩაის კრეფის სეზონისათვის.

უკანასკნელ წლებში მეჩაიეები დადებულ პირობას პირნათლად ასრულებენ. მათ მეცხრე ხუთწლეულის პირველ წელს ქვეყანას მიჰცეს 266 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმაზე 30 ათასი ტონით, ხოლო ვალდებულებაზე 16 ათასი ტონით მეტია.

მეჩაიეთა შრომის გასული წლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ თავდადებულად იშრომა მეჩაიეობის ყველა რაიონმა. მაგრამ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მაინც არავის დაუთმეს ქობულეთელებმა. მათ მეჩაიეობის პირველი ჯგუფის რაიონებს შორის შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ეს დიდი ჯილდო დაიმახსოვრა მეჩაიეთა მეორე ჯგუფის რაიონებში ფალენჯიხის რაიონმა. ქობულეთელებმა და ფალენჯიხელებმა გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის წარმოების თვითღირებულება, მიაღწიეს ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის ზრდას.

ჩაის პლანტაციებში უკვე იგრძნობა დიდი გამოცოცხლება. მეჩაიეები თავს დასტრიალებენ თვითეულ ჰექტარ პლანტაციას, განაგრძობენ მუშაობას აგროტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე: ამოწმებენ, სად რა ესაჭიროება ამა თუ იმ ნაკვეთს. ამას კი კარტოგრამები გვეუბნება და მზრუნველ ხელსაც არ აკლებენ ჩაის ბუჩქებს. „მწვანე ოქროს“ დუღაბი სწრაფად ვითარდებიან და მალე მოუხმობენ მეჩაიეებს კრეფის გაჩაღებისაკენ.

საბელოვანმა მეჩაიეებმა წელსაც მისცეს პირობა პარტიასა და მთავრობას, რომ სიტყვას არ გატეხენ და მოკრეფენ სულ 36 ცენტრ 260 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 239 ათასი ტონისა, ხოლო მეცხრე ხუთწლეულის ბოლოსათვის — 300 ათას ტონას. ამ დიდი საქმის შესრულებაში კვლავაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, ოჩამჩირის, ფალენჯიხის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონებმა.

მაგრამ წარმატება თავისთავად როდი მოვა. ოდნავ თვითდამშვიდებას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს ნაკეთი ვალდებულების განაღდების საქმეს. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩაის კრეფის სეზონს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკები ყოველმხრივ მზად შეხვდნენ.

უნდა გავითვალისწინოთ შარშანდელი ზოგიერთი შეფერხებანი, როცა ზოგან მოზღვავებული ჩაის ნედლეულის გადაზიდვა, მიღება ჩაის პუნქტებსა და თვით ფაბრიკებში ყოვნდებოდა. ეს კი გავლენას ახდენდა ნედლეულის ხარისხზე. ამთავითვე უურადღება უნდა გავამახვილოთ ბრიგადებში, რგოლებსა და აგრონაყოფილებებში შრომის ორგანიზაციის ამაღლებაზე, დისციპლინაზე, მკრეფავთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაზე. ერთხელ კიდევ უნდა შემოწმდეს უზრუნველყოფილი არიან თუ არა მეჩაიეები საპრეფი კალათებით, როგორია კლანტაციებში მისასვლელი გზები, მზად არის თუ არა საველე ფარდულები, ჩაის მიმღები პუნქტები, ტრანსპორტი. საჭიროა მეჩაიეების უზრუნველყოფილ იქნან საეცტანსაცმლით ყოველგვარ ამინდში მუშაობისათვის.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის გაუმჯობესებისათვის. შარშან ჩაის ფოთოლს მექანიზებულად კრეფდა შვიდასი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ და შესრულებულ იქნა დასახული გეგმა. მაგრამ დასამალავი როდია ის, რომ ზოგან მანქანები მალე გამოდიოდა მწყობრიდან. ეს კი კრეფის სტარატენი გასვლის წინ ცუდი რეპუტაციის შედეგი იყო. ამავე დროს ზოგან ჩვენი მექანიზატორებიც სცოდავდნენ: კულტურულად არ ეპურობოდნენ მანქანებს, ატარებდნენ უქმ სვლაზე და მოგვლასაც აკლებდნენ. ზოგან დაბალი იყო თვით მექანიზატორის კვალიფიკაცია. ეს მდგომარეობა წელს არ უნდა გამეორდეს. საჭიროა ფართოდ დანერგოთ ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის ლაითურის, ნასაკირალის, ფალენჯიხის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ცნობილი მექანიზატორთა მდიდარი გამოცდილება. ამოცანა ის არის, რომ წელს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მექანიზებული კრეფის ფართობებისა და, ცხადია, მოკრეფილი ჩაის ნედლეულის ოდენობა.

იწყება საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამოცდა. ჩაის კრეფის სეზონი კარზეა მომდგარი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ არ გვქონდეს რაიმე მნიშვნელოვანი შეფერხება. მთელი სიმკაცრით მოვითხოვოთ ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხის დაცვა, არ დაუშვათ დანაკარგები. დროულად გადავზიდოთ ნედლეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრეფი ჩაის ფოთოლი დღეში სამჯერ მაინც იქნას გადაზიდული, რათა ჩაის ფაბრიკებმა იმ დღისვე მიიღონ ახალმოკრეფილი ხარისხოვანი ფოთოლი. საჭიროა ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ნედლეულის დამამზადებლებთან ერთად მიიღონ ზომები ქართული ჩაის მარკის ღირსების დასაცავად.

ამ დიდ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კომკავშირელები და გვიჩვენონ ავანგარდული როლი დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სეზონის დაწყებამდე დრო ცოტა დარჩა. მთელი ჩვენი გამოდილება, ცოდნა, ენერგია მომკიხმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ახლა სიტყვა თქვენზეა, მეჩაიეებო!

მშენებელთა წარმატება

ბეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ენერგიულად შრომობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა თბილისის დისტანციის კოლექტივი (უფროსი ლ. ბერძენიშვილი). მშენებლებმა განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 339 ათასი მანეთისა 451 ათასი მანეთის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს, ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 15 პროცენტით გაზარდეს. მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, ზეგეგმითმა მოგებამ 700 მანეთს გადააჭარბა.

დაპირება გაანაღდეს

თბილისი. № 1 საქერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ოთხი თვის გეგმა ორი დღით ადრე შეასრულა. მკერავებმა პროდუქციის რეალიზაციის დავალების 600 ათასი მანეთით გადაჭარბეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებას 650 ათასი მანეთით გადაამეტეს. მომხმარებელს გეგმის ზევით 4.900 ერთეული ქალის პალტო და 7.000 ერთეული ბავშვის და ქალის კაბა გაუგზავნეს.

ფაბრიკაში ამ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის. შეჯიბრების სათავეშია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მკერავი რ. სოკურაშვილი. მას მხარდამჭერ მიჰყვებიან მკერავები თ. ზეიკიძე, ე. ხვედელიძე, ლ. ქავთარაძე.

მაკთ თავი ისახელეს

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. შეჯიბრების ბევრი მონაწილე დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, მათ შორის ერთ-ერთი პირველია ჩამომსხმელი ვ. ლუტიძე.

სურათზე: მოწინავე ჩამომსხმელი ვ. ლუტიძე.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ხუთწლედი — ვაქციოთ!

პირველად ჩვენს ძვეყანაში

მეგობრული დაეხმარნენ

ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში სპეციალურმა კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ავტომატიზებულ სისტემას, რომელიც შექმნეს და წარმოებაში დანერგეს ქართველმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და სპეციალისტებმა. მართვის ეს ავტომატიზებული სისტემა პირველია ჩვენს ქვეყანაში.

რას წარმოადგენს ეს სიახლე, რომელსაც სპეციალისტები მეტად პროგრესულ ღონისძიებად თვლიან? რა არის ბრძმედი, ალბათ ბევრმა იცის, მაგრამ აგლოფაბრიკა შედარებით უცხო. მეტალურგიული წარმოების სწორედ ამ უბანზე მზადდება საბრძმედე ღუმელების „საკვები“. კაზმის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული თუჯის გამოდნობის პროცესის ეკონომიურობა, ეფექტიანობა.

ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხანა ომის წლებშია აგებული და დღეს თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით მაინც და მაინც არ გამოირჩევა. აქ კაზმის მომზადების დიდმნიშვნელოვანი პროცესის ტექნოლოგიაც ჩამორჩებოდა, ამიტომ ჩელიაბინსკელი მეტალურგები ყოველთვის უჩიოდნენ პროდუქციის ხარისხს.

ამ საკითხის გადაჭრა ითავეს რუსთავის ინსტიტუტი „ავტომატმრეწვეთა“ და თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, ინჟინრებმა და სპეციალისტებმა. მათ დიდი მიზანი დაისახეს, გადაწყვეტილ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის დახმარებით ავტომატიზებული გაეხადათ კაზმის მომზადების მთელი პროცესი. ეს გადაწყვეტილება ბევრ გამოცდილ მეტალურგს არარეალურად ეჩვენა, მაგრამ ქართველი სპეციალისტების ჯგუფმა, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები რ. სიგუა და რ. თევზაძე ხელმძღვანელობდნენ, მოცემული პირობა შეასრულა და ჩვენს ქვეყანაში პირველად საექსპლოატაციოდ გადასცა ავტომატიზებული სისტემა გამომთვლელი მანქანით, რომელიც სპეციალური მონაცემების ჩადების შემდეგ ზუსტად გაიანგარიშებს კაზმის შემადგენლობას, ავტომატურად აწვდის ამა თუ იმ კომპონენტს, რომელიც კაზმს არ მყოფნის, ერთი სიტყვით, უნარიანად წარმართავს ამ რთულ ტექნოლოგიურ პროცესს.

ჭკვიანმა მექანიზმებმა მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლეს შემზავებლები, ამასთან საგრძნობლად გაუმჯობესეს აგლოკაზმის ხარისხი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან გამოდნობილი თუჯიც კარგი იქნება, შემცირდება მისი თვითღირებულება.

ქართველი მეცნიერების მიერ დანერგილ ამ სისტემას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებაც შეუძლია. ზემოაღნიშნული საშუშაოებას პარალელურად იგი ანგარიშობს და აზუსტებს აგლოფაბრიკის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, რაც საშუალებას იძლევა ყოველდღიურად შეჯამდეს ცვლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ავტომატიზებული მართვის სისტემის პროექტისა და მოწყობილობის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისელი და რუსთაველი მეცნიერები, სპეციალისტები, ინჟინრები, რომელთა შორის იყვნენ მ. გეგეშაძე, ა. გასიტაშვილი, ს. ამირაგიანი და სხვ. ერთნი წლების მანძილზე დაუღალავად შრომობდნენ, ეხმარებოდნენ მოიმე რესპუბლიკის მეტალურგებს. შედეგი თვალსაჩინოა. მართვის ეს სისტემა, რომელიც კაზმის მომზადების კომპლექსით და გამომთვლელი საშუალებების გამოყენებით გადაეცა საექსპლოატაციოდ, სპეციალისტთა აზრით, დიდმნიშვნელოვანი. ნაბიჯია რთული მეტალურგიული პროცესების სრული ავტომატიზაციის გზაზე. ქართველ სპეციალისტთა ამ სიახლეს, რომელიც ავტორებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს მიუძღვნეს, დიდი აღიარება მოიპოვა.

— შეკვეთებს უკვე ვიღებთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც, — ამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი რევაზ სიგუა. — ჩვენს სამუშაოს მაღალი შეფასება მისცეს მთელმა რიგმა გამოჩენილმა სპეციალისტებმა.

სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტრომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსთან ერთად შექმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ სისტემას და შეიმუშავებს მისი გავრცელებისა და სხვა ქარხნებში დანერგვის რეკომენდაციებს.

გაიკვლის ცოტა დროც, და მართვის ავტომატიზებული სისტემა კაზმის მომზადების კომპლექსით ჩვენი ქვეყნის ყველა მეტალურგიული ქარხნის კუთვნილება გახდება. ჯერჯერობით კი ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი მანქანა მხოლოდ ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის აგლოფაბრიკას მართავს.

რ. ჰელიძე.

რიტმულად, გამართულად

თბილისი. № 2 თამბაქოს ფაბრიკამ (დირექტორი ა. კეკელია), რომელიც რიტმულად და გამართულად მუშაობს, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. მეთამბაქოეებმა ოთხი თვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს. ნატურპროდუქციის დავალების 8,1 პროცენტით გადაამეტეს, საერთო პროდუქციისას — 7,2 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობას — 7,3 პროცენტით, ე. ი. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 700 ათასი მანეთის პროდუქცია. მომხმარებელმა გეგმის ზევით 131 მილიონი ცალი სიგარეტი მიიღო.

შრომის სწორი ორგანიზაციით და მანქანა-დანადგარების მოცდენათა შემცირებით შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით აამაღლეს.

მიმდინარე წლის გასულ კვარტალში შარშანდელ შესადარ პერიოდთან შედარებით ნატურ პროდუქციის გამოშვება 11 პროცენტით გაიზარდა, საერთო პროდუქციისა — 11,2 პროცენტით, რეალიზაციის მოცულობა — 11,9 პროცენტით.

საწარმოში ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში გადაჭარბებით ასრულებენ მემანქანე-მარეგულირებლები ყ. ბაიდაური, გ. კაკელია, ი. სიკეცოვი, ი. როშოიანი, ე. ივანოვი და ზეინკალი ნ. ძიძიგური.

ზეგეგმითი კაგელი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ქართველი მეკაბელეები, რომლებიც მოსკოველ თანამოსაქმეებს შეგობრობენ, მეორე მილიონი კილომეტრი კაბელის ანგარიშში მუშაობენ. მათ გაჰართულად და რენტაბელურად დაიწყეს მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი. ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით სამშობლოს 40 ათასი მანეთის სხვადასხვა მარკის მაღალხარისხოვანი კაბელი მისცა. დადა გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. მეკაბელეები უკეთ მუშაობენ მაისში. ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ ხაშმობლოს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ზედიზედ მეცამეტეჯერ

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეცამეტეჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ავრეთვე პირველი ფულადი პრემია.

ფართოდ გაშალა რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კომბინატის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 25 ათასი ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაადიდა 6,7 პროცენტით. პროგრამის გადაჭარბებით რეალიზებულია 580 ათასი მანეთის სათბობი, შემცირდა ქვანახშირის ნაცრიანობა და პროდუქციის თვითღირებულება; ზეგეგმითმა დაგროვებამ შეადგინა 119 ათასი მანეთი. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა.

კვარტალური გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს ტყიბულის ლენინის სახელობისა და „დასავლეთის“ პატრეების კოლექტივებმა, რომლებსაც მიენიჭათ მეორე პრემიები, № 5 შახტის კოლექტივმა კი — მესამე პრემია.

დაფინაურდნენ

სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეადგინეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები, დათვალიერების გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, სოხუმის ენერგომომარაგების უბნისა და სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივები.

მათ მიენიჭათ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

შეჯამდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1972 წლის პირველი კვარტალის შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ქუთაისის ნავთობბაზის კოლექტივს.

ოჩამჩირის ნავთობბაზის კოლექტივმა დაიმსახურა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს ავრეთვე წნორის ნავთობბაზისა და ბათუმის გამანაწილებელი ნავთობბაზის კოლექტივები.

პირველი პრემია

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს წალენჯიხის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის კოლექტივმა მოსკოვიდან მიიღო სასიხარულო ცნობა: 1972 წლის პირველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით იგი ცნეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მას მიენიჭა სსრ კავშირის ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ქარელი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გაიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა მ. ღვინჭილიამ პარტიის ქარელის რაიკომის პირველ მდივანს შ. მახარობლიძეს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

რაიონის მშრომელებმა ეს მაღალი ჯილდოები (პირველი ჯგუფის რაიონებში) დაიმსახურეს 1971 წლის ხილისა და შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის.

ქარელის რაიონის მშრომელებმა პირობა დაიდეს სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი.

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მებოსტნეების ენერგიული შრომა. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს მათ სახელმწიფოს მიაყიდეს 3.559 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 3.250 ტონისა. ხაშურელთა მუყაითი შრომა დაფასდა. ხაშურის რაიონი (მეორე ჯგუფის რაიონებში) დაჯილდოვდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

ბაღდათი. (საკ. კორ.). ბაღდათელ ბოსტნეულთა ბრიგადა ბ. ბერიძეს ხელმძღვანელობით ბოლო ორი წლის მანძილზე ბაღდათის რაიონში ყველაზე მეტ ბოსტნეულს აწარმოებს. ბრიგადა ამ ბოლო ხანებში ბევრ ახალ ფართობს ათვის

პარიზი, 6 მაისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში არ წყდება გაფთრებული ბრძოლები პატრიოტულ ძალებსა და მოწინააღმდეგის ჯარებს შორის.

ბრძოლები ინდოჩინეთში

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები, ტანკებით გაძლიერებულნი, მიიწევდნენ ჰიუსაკენ. ღამით პატრიოტებმა რაკეტებისა და ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს ამ ქალაქის მისადგომებთან განლაგებულ „ინგლისა“ და „კინგის“ ბაზებს.

გუშინ ჰიუეში სასწრაფოდ ჩავიდა მარიონეტთა „პრეზიდენტი“ ნგუენ ვან თხიეუ „ჯარისაცთა მორალური სულისკვეთების გასაძლიერებლად“ და ამ რაიონში მოქმედი საიგონის არმიის ნაწილების მეთაურებთან ერთად ქალაქის თავდაცვის ღონისძიებათა განსახილველად. როგორც დასავლეთის საგენტოთა კორესპონდენტები იუწყებიან საიგონიდან, ამჟამად ჰიუეს უშუალოდ ემუქრებიან განთავისუფლების ძალები.

კუანგნამის პროვინციაში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები ბრძოლით მიიწევენ ქალაქ კუესონისაკენ და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ცენტრალურ ზეგანზე პატრიოტებმა აიღეთქვეს ხიდი პლეიკუსა და კონტუმს შორის, ალყა შემოარტყეს ქალაქიდან 18 კილომეტრზე მდებარე „პოლეიკლენგის“ ბაზას, აგრეთვე განდევნეს მარიონეტები „ლეკანის“ ბაზიდან.

ამის შედეგად კონტუმი კიდევ უფრო იზოლირებული აღმოჩნდა სამხრეთ ვიეტნამის დანარჩენი რაიონებისაგან.

ჰანოი, 6 მაისი. (საკდესი). აპრილის განმავლობაში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა თხეთხეენის პროვინციაში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 3.500 ჯარისკაცი, ჩამოაგდეს 36 თვითმფრინავი, მოსპეს ან ხელთ იგდეს 73 სამხედრო მანქანა, ნაღავლად წამოიღეს 400 ერთეული სახროული იარაღი.

კუანგნამის პროვინციაში 13-დან 25 აპრილამდე პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის ათასამდე ჯარისკაცი, ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 9 პოზიცია, მოსპეს 8 სამხედრო მანქანა და ააფეთქეს 8 ხიდი.

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ გაძლიერებით ბომბავს ვიეტნამს. გასული დღე-ღამის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაციის თვითმფრინავებმა მოახდინეს 100-ზე მეტი გაფრენა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებში. „B-52“ მძიმე ბომბდამშენები ინტენსიურად ბომბავდნენ ჰიუესა და კონტუმის მიდამოებს.

დასავლეთის საგენტოთა კორესპონდენტები იმოწმებენ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას და საიგონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავებმა მაისის დამდეგიდან გააძლიერეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა — დღის განმავლობაში საშუალოდ 125 საბრძოლო გაფრენას ახორციელებენ.

ჰანოი, 6 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც სასტიკად დაგმო ამერიკის ავიაციის მიერ 3 მაისს ჩრდილოეთ ვიეტნამის ნგეანის, ჰატინის, კუანგბინის პროვინციებისა და ვინლინის ზონის დაბომბვა.

განცხადება შეიცავს მოთხოვნას ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისადმი, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ დაბომბვა და სხვა საომარი მოქმედება, რომლებიც არღვევენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატები ინდოჩინეთში მოქმედებს იმ საკუთარ დაპირებათა წინააღმდეგ, რომ ინდოჩინეთის საბრძოლო მოქმედებაში არ გამოიყენებენ სახმელეთო ჯარებს და რომ გაგრძელდება ვიეტნამიდან ამერიკელ ჯარისკაცთა გაყვანის პროცესი.

ამას მოწმობს პენტაგონის წარმომადგენლის განცხადება, რომ შეერთებული შტატები იხილავს სამხრეთ ვიეტნამში საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმის გეგმებს, რომელსაც ახლა ბაზა აქვს სამხედრო გემებზე ინდოჩინეთის ნაპირებთან. ამერიკელ მიმომხილველებს ეს განცხადება მიაჩნიათ იმის დადასტურებად, რომ მოსალოდნელია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხელეთო ძალები გამოიყენოს საბრძოლო მოქმედებაში საიგონის მარიონეტული რეჟიმის გადარჩენის მიზნით.

პენტაგონის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ საზღვაო დესანტის ამოცანა იქნება „სამხრეთ ვიეტნამში დარჩენილი ამერიკელი ჯარისკაცების დაცვა“. ცნობილია, რომ ასეთი გაცვეთილი არგუმენტისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრჯერ მიუმართავს წარსულში, რათა გაემართლებინა ინდოჩინეთის ქვეყნების, მათ შორის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერორიის მასირებული დაბომბვები.

ამჟამად სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ხომალდებზე 5 ათასი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცია. მათი უმრავლესობა თავმოყრილია სადესანტო ხომალდ „ტრიპოლზე“, სადაც არის აგრეთვე 15-20 ვერტმფრინავი.

შეერთებული შტატები, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ვიეტნამში ახორციელებს „მახობრივი მოსპობის პოლიტიკას“, რომელსაც ნიღბავს პროპაგანდისტული მითებით. ამავე მითებს იყენებდა შეერთებული შტატები, წერს გაზეთი, ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ, მაგრამ ისინი უარყო თვით ცხოვრებამ.

ჰანოი, 6 მაისი. (საკდესი). აპრილის ათ დღეში დასახლეთ ნამბოს რაიონებში (საიგონის ჩრდილო-დასავლეთით) 220 ათასზე მეტმა მცხოვრებმა გააუქმა ორმოცამდე ადგილობრივი მარიონეტული ადმინისტრაციული დაწესებულება და დაამყარა სახალხო ხელისუფლება ბევრ სოფელში. ამას იუწყება განთავისუფლების პრესის საგენტო.

საზღვაპარპეთის პრესა წერს საიგონის არმიის დემორალიზაციის შესახებ.

ლონდონი, „ტაიმსი“ „საიგონიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, თუ როგორ „გაიხარწნა“ საიგონის ჯარები, რომლებიც უკან იხევენ. საიგონის ჯარისკაცები და ოფიცრები, გარბიან რა სამხრეთისაკენ, აღნიშნავს გაზეთი, ძარცვავენ მოსახლეობას, ჩხუბობენ ერთმანეთში ნაძარცვის გაყოფისას.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ საიგონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საიგონის „პრეზიდენტმა“ თხიეუმ, რომელიც ცდილობს აღადგინოს „თუნდაც მოჩვენებითი წესრიგი ჯარებში“, უბრძანა გადაყვანონ ორი გენერალი, რომლებიც ჩრდილოეთ პროვინციებში სარდლობდნენ ნაწილებს.

კორესპონდენტს მოჰყავს ერთ-ერთი გადაყვანებული გენერლის სიტყვები, რომ მისმა ჯარებმა უარი თქვეს ქალაქ კუანგჩიხათვის ბრძოლაზე, რომელიც ბრძანების თანახმად „უნდა შეენარჩუნებინათ რადაც უნდა დასჯდომოდათ“.

საიგონის რეჟიმის ჯარისკაცები, წერს იტალიური „უნიტა“, გარბიან, ტოვებენ იარაღს, იყენებენ „მიმოსვლის სრულიად მოულოდნელი საშუალებებს“, რათა თავი დაიღწიონ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებს, რომლებიც მათ მოსდევენ. ჯარისკაცებთან ერთად გარბიან საიგონელი გენერლებიც.

დასავლეთბერლინელი „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ ცნობით, „საიგონის ხუნტის ჯარები, უველაზე რჩეული ქვეგანაყოფებიც კი, უწესრიგოდ იხევენ უკან პატრიოტული ძალების იერიშების შედეგად“. საიგონელი ჯარისკაცები მეტად თავისებურად „ფეხებით აძლევენ ხმას ზავს“.

* * *

ხერასონი: ნიუ-იორკის პოლიციას იერიში მიაქვს დემონსტრანტებზე, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიული კურსის წინააღმდეგ.

ფოტო გაზეთ „დეილი უორლდიდან“ (აშშ).

ბერლინი ხალხთა ძმური კავშირი

6 მაისი. (საკდესი). გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, გერმანიის დემოკრატიული რუსპუბლიკის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოსა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის სახუთიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისა და ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 27 წლისთავს.

სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანები.

სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ვ. მიუკენბერგერმა. მან აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა არმიის ისტორიული დამსახურება ფაშიზტური უღლისაგან ევროპის ხალხების განთავისუფლებაში და გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და ხალხს.

ე. მიუკენბერგერმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მუშათა კლასის ერთიანობისა და მარქსისტულ-ლენინური გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის მეოხებით, ბრძოლაში ნაციან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის მეოხებით. სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული დიადი მშვიდობის პროგრამა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა,

ორატორმა აღნიშნა, რომ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. როგორც მან თქვა, ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ევროპის დაძაბულობის შენელების დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, იმის წინამძღვარია, რომ ძალამი შეიიღეს ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ურთიერთობის ნორმალიზაცია, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად კეთილსაყოფიერ გაკლენას მოახდენს ევროპის მდგომარეობაზე.

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში გაიმართა მთავრობის კოალიციის პარტიების — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების, აგრეთვე ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერების ახალი თათბირი.

თათბირის დამთავრებამ შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბრანდტმა გამოაცხადა, რომ „კონტაქტები გაგრძელდება“.

ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კ. ალერსმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ რეზოლუციის ტექსტის საკითხში თანხმობის მიღწევა „შესაძლებელია“. ამ საქმეში მთავარი სიძნელენია, როგორც მან თქვა, ერთობლივი რეზოლუციის ტექსტის შეთანხმება, აგრეთვე ის, თუ როგორ გააცნონ იგი სხვა სახელმწიფოებს.

ნიუ-იორკი, 6 მაისი. (საკდესი). ახლოშეიტედ პრესის სააგენტოს მოამზადა პაკისტანის მთავრობის განცხადება, **რომელშიც ამტკიცებენ, რომ 5 მაისს ინდოეთის ჯარებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ქაშმირის მთავრობიან რაიონში.**

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 6 მაისი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, **რომ 5 მაისს პაკისტანის ჯარების ქვეგანაყოფი შეეცადა იერიში მიეტანა პოზიციებზე, რომელიც ინდოეთის ჯარებს უკავიათ ქაიანის რაიონში (ქაშმირი).**

ინდოეთმა ამასთან დაკავშირებით პაკისტანს მრალად დასდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა.

ნიუ-იორკი, 6 მაისი. (საკდესი). ახლოშეიტედ პრესის სააგენტოს მოამზადა პაკისტანის მთავრობის განცხადება, **რომელშიც ამტკიცებენ, რომ 5 მაისს ინდოეთის ჯარებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ქაშმირის მთავრობიან რაიონში.**

ბუენოსაირესი ვითარება ბურუნდიში

6 მაისი. (საკდესი). ბურუნდის რადიოს ცნობით, **რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ქვეყნის ზოგიერთ რაიონში განაგრძობენ ამბოხების უკანასკნელი კერების ლიკვიდაციის ოპერაციებს.**

ამბოხება განვლილი კვირის დამლევს მოაწყვეს მონარქისტულმა ელემენტებმა ეცხოელ დაქირავებულთა მხარდაჭერით. ცნობაში აღნიშნულია, რომ მთავრობის საწინააღმდეგო პუტჩის მთავარი ორგანიზატორები დაიპატრონეს ბურუნდის ერთ-ერთ ერ-ერ და წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

თუმცა მთლიანად ვითარება ბურუნდიში გაცილებით ნორმალური ვახდა, მაგრამ ქვეყნის მთავარ საგზაო მაგისტრალებს ჯერ ისევ კონტროლს უწევენ სამხედრო პატრულები და დედაქალაქში შესვლის ნებართვა ეძლევათ მხოლოდ სურსათითა და პირველი საჭიროების სხვა საქონლით დატვირთულ მანქანებს. ბუენოსაირესა და მთელ რიგ სხვა ადგილებში კვლავ გრძელდება კომენდანტის საათი, რომელიც ამბოხების დაწყების დღეს შემოიღეს.

რადიო „რევოლუციის ხმამ“ მოიწოდა ხალხს განამტკიცოს ეროვნული ერთიანობა და მტკიცედ დაიცვას რესპუბლიკა.

ბრძოლაზე, რომელიც ბრძანების თანახმად „უნდა შეენარჩუნებინათ რადაც უნდა დასჯდომოდათ“.

საიგონის რეჟიმის ჯარისკაცები, წერს იტალიური „უნიტა“, გარბიან, ტოვებენ იარაღს, იყენებენ „მიმოსვლის სრულიად მოულოდნელ საშუალებებს“, რათა თავი დაიღწიონ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებს, რომლებიც მათ მოსდევენ. ჯარისკაცებთან ერთად გარბიან საიგონელი გენერლებიც.

დასავლეთბერლინელი „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ ცნობით, „საიგონის ხუნტის ჯარები, უველაზე რჩეული ქვეგანაყოფებიც კი, უწესრიგოდ იხევენ უკან პატრიოტული ძალების იერიშების შედეგად“. საიგონელი ჯარისკაცები მეტად თავისებურად „ფეხებით აძლევენ ხმას ზავს“.

* * *

ხერასონი: ნიუ-იორკის პოლიციას იერიში მიაქვს დემონსტრანტებზე, **რომლებიც პროტესტს აცხადებენ ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიული კურსის წინააღმდეგ.**

ფოტო გაზეთ „დეილი უორლდიდან“ (აშშ).

ბონი

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში გაიმართა მთავრობის კოალიციის პარტიების — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების, აგრეთვე ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერების ახალი თათბირი.

თათბირის დამთავრებამ შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბრანდტმა გამოაცხადა, რომ „კონტაქტები გაგრძელდება“.

ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კ. ალერსმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ რეზოლუციის ტექსტის საკითხში თანხმობის მიღწევა „შესაძლებელია“. ამ საქმეში მთავარი სიძნელენია, როგორც მან თქვა, ერთობლივი რეზოლუციის ტექსტის შეთანხმება, აგრეთვე ის, თუ როგორ გააცნონ იგი სხვა სახელმწიფოებს.

ბონი

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). ბონიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, თუ როგორ „გაიხარწნა“ საიგონის ჯარები, რომლებიც უკან იხევენ. საიგონის ჯარისკაცები და ოფიცრები, გარბიან რა სამხრეთისაკენ, აღნიშნავს გაზეთი, ძარცვავენ მოსახლეობას, ჩხუბობენ ერთმანეთში ნაძარცვის გაყოფისას.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ საიგონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საიგონის „პრეზიდენტმა“ თხიეუმ, რომელიც ცდილობს აღადგინოს „თუნდაც მოჩვენებითი წესრიგი ჯარებში“, უბრძანა გადაყვანონ ორი გენერალი, რომლებიც ჩრდილოეთ პროვინციებში სარდლობდნენ ნაწილებს.

კორესპონდენტს მოჰყავს ერთ-ერთი გადაყვანებული გენერლის სიტყვები, რომ მისმა ჯარებმა უარი თქვეს ქალაქ კუანგჩიხათვის ბრძოლაზე, რომელიც ბრძანების თანახმად „უნდა შეენარჩუნებინათ რადაც უნდა დასჯდომოდათ“.

საიგონის რეჟიმის ჯარისკაცები, წერს იტალიური „უნიტა“, გარბიან, ტოვებენ იარაღს, იყენებენ „მიმოსვლის სრულიად მოულოდნელ საშუალებებს“, რათა თავი დაიღწიონ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებს, რომლებიც მათ მოსდევენ. ჯარისკაცებთან ერთად გარბიან საიგონელი გენერლებიც.

დასავლეთბერლინელი „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ ცნობით, „საიგონის ხუნტის ჯარები, უველაზე რჩეული ქვეგანაყოფებიც კი, უწესრიგოდ იხევენ უკან პატრიოტული ძალების იერიშების შედეგად“. საიგონელი ჯარისკაცები მეტად თავისებურად „ფეხებით აძლევენ ხმას ზავს“.

* * *

ხერასონი: ნიუ-იორკის პოლიციას იერიში მიაქვს დემონსტრანტებზე, **რომლებიც პროტესტს აცხადებენ ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიული კურსის წინააღმდეგ.**

ფოტო გაზეთ „დეილი უორლდიდან“ (აშშ).

ნიუ-იორკი კატასტროფა მაღაროში

5 მაისი. (საკდესი). მესამე დღეა გრძელდება **საშველი სამუშაოები** აიდაჰოს **შტატის** მაღარო „მზის სინათლეში“.

შედეგები ჯერ-ჯერობით ნაკლებ ხანუგეშოა. მაშველმა რაზმებმა ერთ კილომეტრ სიღრმეზე აღმოაჩინეს კიდევ 8 დაღუპული მაღაროელის გვამი, **რომლებიც** კვამლმა მოგუდა, კვლავ გაურკვეველია **ხანძრის** კერის ქვეშ განლაგებულ **შტრეკებში** მოყოლილი 50 მეშახტის ბედი.

როგორც ამერიკის შეერთებული **შტატების** შინაგან **საქმეთა** სამინისტროს **წარმომადგენელმა** განაცხადა, **1967** წლიდან **უბედური** შემთხვევების **რიცხვმა,** რომელებსაც მსხვერპლი **მოჰყვა,** მაღარო „მზის სინათლეში“ ერთიორად გადააჭარბა ქვეყნის ანალოგიურ შახტებში **მომხდარი** შემთხვევების საშუალო დონეს. მისი თქმით, **მაღაროში** უსაშიშროების **ტექნიკის** მდგომარეობის **რამდენიმე** შემოწმების **დროს,** უკანასკნელი **ორი** წლის **მანძილზე,** აღმოაჩინეს **უსაშიშროების ტექნიკის** წესების **30** დარღვევა.

როგორც იუწყებიან, **ზოგიერთი** მეშახტე, **რომლებიც** ხასწაულით **ამოვიდნენ** ზემოთ **ხანძრის** გაჩენის **შემდეგ, შეეცადა** გამოეყენებინა **რესპირატორები, მაგრამ** აღმოჩნდა, **რომ** ისინი **უწესივრო** მდგომარეობაში **იყო.**

6 მაისი. (საკდესი). მეხუთე **დღეა** ცეცხლი **მძვინვარებს** ვერცხლის **მაღაროში „მზის** სინათლეში“. **სამშაბათს** დაწყებული **ხანძარი** მაშველ **რაზმებს** კვლავ **არ** აძლევს **საშუალებას** ტრეკში **შევიდნენ.**

იმ დროს, **როცა** კატასტროფა **მოხდა,** სანგრევში **ახი** კაცი **იყო. მხოლოდ** 18 **მეშახტემ** მოახერხა **ზევით** ამოსვლა. **მაშველმა** რაზმებმა, **რომ**ლებიც **შახტში** ჩავიდნენ, **ვერ** გააღწიეს **ცეცხლისა** და **ბოლის** მკვრივ **ფარდას. მაშველმა** რაზმებმა **ჯერ-ჯერობით** მხოლოდ **32** დაღუპული **მეშახტის** გვამი **აღმოაჩინეს. 1.600** მეტრ **სიღრმეზე** ცოცხლად **დამპრალული** დანარჩენი **50** კაცის **ბედი** დღემდე **გაურკვეველია. რაც** დრო **გადის** მით **უფრო** მცირდება **მათი** გადარჩენის **იმედი.**

მაღაროს შესასვლელთან **კვლავ** დგანან **მაღაროელთა** ახლობლები **და** ნათესავები.

ინდოეთ

ინდოეთ

ინდოეთ

სოფლის თავჯაჭი, სოფლის მოამაგე

სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მამაიაშვილი.

1.

შუა ზაფხული იყო. მიწას ალმური ასდიოდა. შირაქიანი და თელაწყლის ყანებს კომბაინები მოსდებოდნენ და მთელ ამ უზარმაზარ მინდვრებზე დღეც და ღამეც გაუთავებელი ბუბენი და ზრიალი იდგა. დასიცხულ ქორებს წამოფრენაც კი უზარებოდათ. თვალი უჭირელდებოდა კაცს მინდორში—ირეოდნენ კომბაინები, ხორხლით პირთამდე სავსე თვითმცლელები, ნამჯის საწნეხ-საგროვებლები, მოძრავი ავტოსახელოსნოები, პური ბეღლებისაკენ მიდიოდა, ნამჯა—ფერმებისაკენ. ზენიტები იდგა მზე და ზენიტში იყო კალოობა. მოდიოდა უსვი მოსავალი, აბინავებდნენ და ზუთით არ ეცალა არავის, არც კაცსა და არც ქალს.

ნიკო მამაიაშვილი თელაწყლაზე იყო. თავმჯდომარე საჰექტარო შემოსავლიანობას ამოწმებდა. ძლივს მოასწრო ასალგაზრდა ბრიგადირმა თავმჯდომარის კითხვაზე ეპასუხნა — ჰექტარზე დაგეგმილი ჩვიდმეტი ცენტნერის ნაცვლად ოცდაათი ავიღეთო, როცა ყანაში პატარა ბიჭმა მოირბინა და თავმჯდომარეს უთხრა:

— ძია ნიკო... თრიალეთიდან დარეკეს, ჭიქიან გორაზე ჩვენი მოსე დაუჭრიათო!

მოსე ცაკაშვილს პატკანი ებარა თრიალეთზე. ის პირველად შორის პირველი მეცხვარე იყო.

ცუდი ამბის შეტყობინებისთანავე მძიმედ დაეღრუბლა სახე თავმჯდომარეს.

— კიდევ რა თქვეს ბიჭო, მძიმედ არისო დაჭრილი?

— ჰო, ძია ნიკო! — წკრიალა ხმა გაეხზარა პატარა ბიჭრიკასაც, — ტყეია მუცელში მოხვედრია და ზურგთან გაუვლია.

ნიკოს აღარაფერი უთქვამს. ყანის თავისაკენ გაიხედა — იქ იდგა მისი მანქანა. და პირდაპირ იქიდან გაეშურა შორეული იალაღებისაკენ. თრიალეთამდე კი ოთხას კილომეტრამდე მანძილია. ჩაუსწრებს, უნდა ჩაუსწროს, ქვეყანას შეხედრაკეს და მოსეს გადაარჩენს. შოფერს თავისი უფროსი არასოდეს ენახა ასე მძიმედ ჩაფიქრებული. თავმჯდომარეს თითქოს ლაპარაკიც დავიწყებოდა და ერთი სიტყვა-და ახსოვდა — ჩქარა, ბერდიკა, ჩქარა, რა ზოზინით მიდიხარ!

ზოზინით კი არა, სპიდომეტრი ძალიან ხშირად ასსა სცილდებოდა, ვერც გაიგეს როდის გადმოსტრეს მთელი კახეთი, ქართული და თრიალეთის აღმართებს შეუდგნენ.

შუადღე იქნებოდა, ბოგდანოვკაში რომ ჩავიდნენ. ნიკოს იქ ყველაფერი დაუვრილებით შეატყობინეს. ავის მოსურნენი ღამით ფანდსმდნენ თავს ცხვრის ბინას. მოსე გუდაგული გაგებებოდა და ბუჩქებში ჩასაფრებულ მძარცველს მისთვის ტყეი ესროლნა. მწყემსებს მაშინვე ურეშეი დაეწვინათ დაჭრილი და ბოგდანოვკაში ჩაეყვანათ. ოპერაცია უკვე გაკეთებინათ. ნიკომ საავადმყოფოს მიაშურა, დაჭრილი ეონზე არ იყო. ექიმი მოიკითხა და ბინაზე მიადგა.

ექიმმა როგორღაც შეუფერებული გულდამშვიდებით დარეკა საავადმყოფოში და იკითხა:

— დღეს რომ ოპერაცია გავუკეთე, ის თუში ისევ ცოცხალია?

ნიკო აიმრიზა. არ მოეწონა ამ კაცის კილო, მაგრამ ~~აღარაფერი~~ შეიმჩნია და თქმით მარტო ეს უთხრა:

— ის კაცი, თუშია თუ კახელი, სულ ერთია, უნდა გადარჩეს! მითხარით რა არის საჭირო. თვითმფრინავიც რომ დაგვჭირდეს, იმასაც ვიშოვი. ან თბილისში გადავიფრენ, ან პროფესორს ჩამოვიყვან იქიდან...

თვითმფრინავისა და თბილისის ხსენებაზე ექიმი როგორღაც შეცბუნდა, მოდი, ჯერ წვიდეთ და ავადმყოფი ვნახოთო, ინახულეს მოსე და მაშინ ქირურგმა ნიკოს უთხრა:

— ნება მომეცი მეორე ოპერაცია გავაკეთო. ოღონდ სასწრაფოდ სისხლი საჭირო.

„სისხლი კი აქ არა ჰქონდათ, — ჰყვება ნიკო, — მაშინვე ახალციხეში გავიქეცი, მივდიოდარ ჭეშარა და ვფიქრობ ვის მივადგე-მეთქი ასე უთენია; უცებ მესმის: „ძია ნიკო, აქ რაზე ჩამოსულხარო", შევხედე, ზემო მაჩხაანელი ჭაბუკია, გვარი აღარ გამახსენდა, ის კი ვიცი, გივი ჰქვიან, ისიც მახსოვს ექიმია, მაგრამ არ მეკითხა თუ აქ მუშაობდა. ბედი არ გინდა, თურმე სწორედ ნას აბარია სისხლი. ამ წუთში გამოვიტანო, მითხრა, 600 გრამი გამიშზადა და შემისვია, წამოვიდე. მეორე ოპერაცია რომ დამთავრდა, ცოტა ხანი დავიცადე და მერე შევედი, დაჭრილი ვინახულე, ვხედავ, კაცი გამობრუნებულა ამ ქვეყნისაკენ, ხუჭრობს კიდეც ნიკო, აგრე მგონია, ეს ძალღის სული გადარჩეს, რაღაც კარგად ვგრძნობ თავსო.

ისევ სისხლის გადასხმა იყო საჭირო. ნიკომ ცხრასი გრამი კიდევ ჩამოიტანა ახალციხიდან, და როცა შეატყო, დაჭრილი უკვე კარგად იყო, ჰკითხა:

— მოსე, ახლა ყველაზე ძალიან რა გაგიხარდება? ინატრე, რაც გინდა!

დაჭრილმა როგორღაც ვედრებით გამოიხედა.

— აბა რა უნდა ვინატრო, ნიკო! ჩემიანების ნახვა მინდოდა, მაგრამ ამ სიშორეზე... — აღარ დაამთავრა მოსემ.

ნიკო წამოდგა, პალატის კარი გააღო და ოთახში მოსეს ცოლი, რძალი და შვილი შემოვიდნენ. სიზმარში და ზმანებაში კი არა, ეს ცხადში ხდებოდა, მაგრამ ეს ცხადიც დაუჯერებელი იყო — საიდან გადმოფრინდნენ ამ ერთ წამში ოთხას კილომეტრზე ზემო მაჩხაანდან თრიალეთში, საქართველოს ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში. მოსე თვალებს იფშვნეტდა — ნამდვილად ისინი იყვნენ, იმათი ცრემლებიც ნამდვილი იყო და არა სიზმარეული, ტიროდნენ მწუხარებისაგან და ტიროდნენ სიხარულისაგან, უხაროდათ, რომ ჯობებს სიკვდილს და ტიროდნენ იმიტომ, რომ ასეთი დიდი სიხარული სხვა ვერაფრით გამოეხატათ.

— ეს რა ჯადო შეულოცეს, კაცო! — ძლივს ამოიღო ხმა გოგონებულმა მოსემ.

ჯადო კი ადვილზე ადვილი ასახსნელი იყო: ვიდრე ნიკო აქ ამ კაცის გადასარჩენად იბრძოდა, ბერდია თავისი მანქანით კახეთისაკენ გამობრუნდა და მოსეს მთელი ოჯახი სასწრაფოდ თრიალეთში ჩამოიყვანა.

ბოლოს, ამდენი მღელვარების შემდეგ, ლაპარაკი რომ შეიძლო, მწყემსის ცოლი მიუბრუნდა ნიკოს და უთხრა:

— შენი ჭირიმე, ნიკო, რა ბედნიერები ვართ, რომ შენა გვყავხარ!..

— რა ბედნიერები ვართ, რომ შენა გვყავხარ — ზემო მაჩხაანელი ქალის ეს სიტყვები შეუძლია გაიმეოროს ყველა მისმა თანასოფლელმა, ყველა ზემო მაჩხაანელმა და მირზაანელმა. აქ კი ათას სამას ოცდაათზე მეტი კომლი, ოთხი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს..

აბა ახლა იფიქრეთ — რამდენი სიკეთე უნდა დასთესო, რომ ხალხის ასეთი სიყვარული მოიმკო... ეს სიყვარული აშენებს ქვეყანას, ამ სიყვარულს მოაყავს ყველაზე დიდი მოსავალი, ის ავსებს ბარაქით შირაქსაც და ტარიბანასაც, თელაწყალსაც და თრიალეთის ზეთსაც. ამ სიყვარულზე უფრო დიდ საჩუქარს კაცი ვერ მიიღებს, ამაზე დიდ სიმდიდრეს ვერ მოიხვეჭს, ათასი წელიც რომ იცოცხლოს; თანაც არავინ იფიქროს, თითქოს ნიკო ძალზე მკაცრი მოხეხული არ იყოს. არა, მას, თვითონ მიწის ტრფიალს და ხაქმეზე გადაგებულს, უხარიან, როცა ამ საქმეზე გულით მოტვიდებულ კაცს დაინახავს. ჩაბარებული საქმის წახდენას კი ასე ადვილად ნიკო არავის აპატიებს. ერთ უკუღმართ ბიჭს ტრაქტორი გადაბრუნებოდა ხნარცვში, თურმე გადაჭარბებული სიჩქარით მიჰყავდა. თავმჯდომარემ უთხრა:

— ბიჭო, ეს რა გიქნია, შე ღმერთგაბეწყრალო! რას დამსგავსებია ეს მანქანა, განა ასეთი ჩაგაბარეს? — ბიჭს თავი თვალი ბანდითა ჰქონდა შეხვეული და აკა-იქ განაკაწრებიდან სისხლს გამოეყოფა, ნიკო ახლა თავზე მიაჩერდა, — ეგ თავი რა დღეში გაქვს, ბიჭო, კარგად მაინც შეგიხვიეს?

მარცხით გულაღრენილმა ბიჭმა ამრეზილად შეხედა თავმჯდომარეს და თავისი ჭკუით ძალიან ოფიციალურ კილოზე გადასვლა ამჯობინა:

— რა გინდა, ნიკალაი პეტროვიჩ, ეგ ტრაქტორი თუ კოლექტივისაა, ეს თავი ხომ ჩემია, ამაზე შენ რა გადარდებს?

— ერთი ამას უყურეთ, — ახლა კი ეწყინნ ნიკოს, — სწორედ მაგ რეგვენი თავის დარდი მაქვს, თორემ მანქანა რა არი, რკინაა, უცებ შეეკეთებთ. აქამდე არ იცი, რომ ეგ შენ თავი ათ მანქანას მირჩევნია?! — და მამლაყინწასავით აფხორილ ბიჭს თითონვე მოეფერა.

მართალი გითხრათ, მიძნელდება გამოვხატო და ავწერო, თუ როგორ უყვართ ზემო მაჩხაანში თავიანთი თავმჯდომარე. ახალგაზრდა მეეტანე აგრონომს ვარლამ ლეკაშვილი ეკითხე, რას მეტყვი-მეთქი ამის თაობაზე.

— ჩვენ, ჩემი თაობის ბიჭები ჯერ დაბადებულებიც არ ვიყავით, ეგ რომ აქ თავმჯდომარედ იყო. მერე მაგის ხელში დავიზარდენით, მაშინ, პატარობაში, ოცნებად გეგონდა გადაქცეული ძია ნიკოსთან გვემუშავნა. და აი, ახლა ხომ სოფლის სათავეში სულ ახალგაზრდობაა!

და ლეკაშვილი ჩამოთვლის ყველას, ვისაც ამ უზარმაზარი მეურნეობის საჭეში აბარია — ეს ელეგჯა ნატროშვილია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ცირა ბოსტოღანაშვილი თავავრი ეკონომისტი, მურთაზ ნატროშვილი — თავავრი აგრონომი, ამირან იაკობიშვილი — თავავრი ზოოტექნიკოსი, ჭაბუკი კომბაინერები — ჯემალ ბენაშვილი, ვალიკო ნატროშვილი, ირაკლი მაძღარაშვილი... და კიდევ ვინ მოთვლის — ბრიგადირები, მექანიზატორები, მეცხოველეები, მეფუნაცეები, მწყემსები — რომელ მათგანსაც გინდა შეეკითხო, ლეკაშვილის ნათქვამს გაიმეორებს.

ისინი მხარში უდგანან უფროსი თაობის ადამიანებს. აი, თუნდაც ერი მათგანი — კოლმეურნეობის თავავრი ინჟინერი შალვა ნატროშვილი, ომის დროს საარტილერიო ბატარეის მუთაური რომ იყო და ახლა ეს ურთულესი ტექნიკა აბარია — კოლმეურნეობას ოთხმოცდაორი ტრაქტორი აქვს, ოცდათექვსმეტი კომბაინი, ოთხმოცდაშვიდი სატვირთო ავტომანქანა, ათობით სატრაქტორო გუთანი, სათესი და კულტივატორი, მრავალი რთული მარცვალსაწმენდი და მარცვალსატვირთი მანქანა... კარგად აწყობილი საათივით მუშაობს ეს დიდი მექანიზმი, ახალი საბჭოთა სოფლის ეს რკინის მუსლი და მკლავი — აქ თითქმის მოლიანად მექანიზებულია მარცვლეული და სათოხნა კულტურების მოყვანა, მანქანებმა თავიანთი სიკეთე მოუტანეს ვენახებსა და მუცხოველეობის ფერმებსაც.

2.

ვამრჯე ხალხია ზემომაჩხაანელები, სარძეო-სასაქონლო ფერმა და მისი შვიდი ბრიგადა, მემინდვრეობის ექვსიანი ბრიგადა, და მევენახეობის რვაკე ბრიგადა, მეღორეობის ფერმის სამი ბრიგადა, მეფრინველეობის ფერმის ოთხი ბრიგადა, მეცხვარეობის ფერმის შვიდი ბრიგადა, კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო სახელს ატარებენ... ერთი სიტყვით, ეს კომუნისტური შრომის კოლმეურნეობაა და ამიტომაც ამშვენებს მის დროშას სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ზემომაჩხაანელთა თავმჯდომარის კიდევ ერთი თვისება ის არის, რომ ერთი დღის მანძილზე მას ყველგან ნახავთ — თელაწყალზეც და ივრის პირებზეც, ჩათმაშიც და ტარიბანაზეც, დიდნაურზეც და ჩანკაან-წყალზეც, გოგილაანთ კალიებზეც, ყველგან, ყველგან...

ეს ჯადოც ადვილად აიხსნება, თუ ნიკოს ახლანდელ შოფერს ვალიკოს ხუთიოდე წუთით სასაუბროდ მოიხელთებთ შინაურებს მერე საკუთარ შოფერზე უკეთ არავინ იცის კაცის სასიათი, მისი ჩვევა და მუშაობის ყადრი თუ უნარი. ვალიკო ტანმორჩილი ჭაბუკია, დაუზარელი და დაუღალელი. თავმჯდომარის დღის რეჟიმზე რომ შეეკითხე, მითხრა:

— ღამის თორმეტ საათზე მივიყვან ხოლმე შინ. ძია ნიკო მეტყვის — ვალიკო, ხვალ დილით ძალიან ადრე ნუ მოხვალო. მაინც რომელზე-მეთქი, ძია ნიკო? დილით ხუთ საათზე აქ იყავი. ზაფხულობით ჩვენი საშუალო ნორმა — დღეში 250 კილომეტრია.

დღეში 250 კილომეტრი, ხანდახან მეტიც, როცა ნიკო თრიალეთში ან შირვანში მიდის — თითონ რაიონის ფარგლებშიც ზემო მაჩხაანის მიწაწყალი ძალიან დიდი და ვრცელია, ფართოდ გადაშლილი წინამხარშიც და უკანამხარშიც, იორზეც და ალაზანზეც...

ამბობენ, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენო. მართალია, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყანას კარგი კაცი არ დაელევა. შეუცვლელებიც ისინი არიან და არშეუცვლელებიც. ერთხელ, ეს იყო ჯერ ისევ ომის წინა წლებში, როცა გზები ამ რაიონში ძალიან ცუდ დღეში იყო, რაიკომმა გადაწყვიტა ნიკო მამაიაშვილი საგზაო განყოფილების უფროსად გადაეყვანა; მოიწვიეს ზემო მაჩხაანში საგადარჩენო კრება. სოფლები რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბესო ჭაბაშვილი ჩამოვიდა და ხალხს გამოუცხადა — მამაიაშვილი თქვენზე უფრო ძალიან რაიონსა სჭირდება, უნდა დაგვითმოთო. მთელი სოფელი ყალყზე დადგა, ვერ დაგანებებთო, მოახსენეს ბესოს, სანამ მამაიაშვილს პერანგის ტარება შეუძლია, ეგ აქ უნდა იყოსო!

მეორე დღეს თვითონ რაიკომის პირველი მდივანი შალვა ცქიტიშვილი. ჩამოვიდა სოფელში.

შორიდან მოუარა რაიკომის მდივანმა, ქვეყნისათვის გზა ისეა, როგორც ადამიანისათვის სისხლის არტერიაო, კარგ გზას არაფერი სჯობიაო, დიდი რაიონი ვართ და გზა არ გვეკარგა, სირცხვილია, რთული ტექნიკა მოდის, ხალხო, და ომას კარგი გზა უნდაო. ნიკო რომ ფუძეზეა ამ საქმეს, ისე ვერავინ შეძლებსო. ძალიან გთხოვთ, ზემო მაჩხაანელებო, დაგვითმოთ ეს კაცი. განა სულ წაგიყვანთ, თქვენზე მუშმივად მომაგრებული იქნება, როგორ გინდათ, აჭა ნახავთ. კიდევ ერთხელ გთხოვთ დაგვითმოთო მამაიაშვილი. რას იტყვით, ხალხო?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთმანეთს უცქეროდნენ, რაიკომის მდივანი გვთხოვს, ისიც მართალია, მაგრამ, ჩვენც რომ მართლები ვართ?! მოდი და ამ ორ სიმართლეში ერთი აირჩე. და ის იყო, მოხუცი დიმო პაპაჩაშვილი წამოდგა, სიტყვა ითხოვა. დიმო თავის დროზე ისეთი მომეელი იყო, მთელ კახეთში ლეგენდასავით ჰყვებოდნენ მის ამბებს. მან დინჯად დაიწყო:

— ჩვენი უფროსი ბრძანდებით და კარგი სიტყვაც გვითხარი. ბევრი საზრუნავი გაქვს, შვილო, მაგრამ ამ ქვეყნისა მეც ბევრი მინახავს და დამიგდე ყური, ჩემგან ნურაფერი გეწყინება. თუ ჩვენ გვკითხავ, გეშინ ხომ გითხარით ჩვენი პასუხი: ამ კაცს არ გაძლევთ; თუ არ გვკითხავ და მაშინ ეს კრება რაღათ მოიწვიე, მინდორში ათასი საქმეა, რათ გვაცდენ, შე კარგო კაცო? ადექი და წაიყვანე! ნიკო აქ თოკით კი არა გვყავს დაბმული. დასვით იმ ახალ სკამზე და ნუღარ გამოუშვებთ. თქვენზე მუდმივად მოვამაგრებთო, იმახი, მომაგრებული არ არი, რაღა გინდათ მეტი! აჰა, გაძლევთ, წაიყვანეთ, მაგრამ იცოდეთ, აქ საქმე რომ წახდეს, თქვენ თავს დაბრალეთ!

მთელმა ზემო მაჩხაანმა ერთხმიანი ტაშით მიხეა დასტური დიმოს.

ცქიტიშვილმა აკალა, ვიდრე ტაში და ყიჟინა ჩაწყნარდებოდა, და მეორედ აიღო სიტყვა:

— ამხანაგებო, არ დაგავიწყდეთ, რომ შეუცვლელი არავინ არ არის. სხვა სოფლებში მამაიაშვილი არა ჰყავთ, მაგრამ განა თქვენზე ცუდად აქვთ საქმე? აგერ, ზემო ქედში, კობა ჩოხელია. ურიგოდ მიყავს საქმე? არხილოზე ვანო ქავთარაძეა. დაუწუნებთ მუშაობას? ვერ დაუწუნებთ. გამარჯვებაში ვანო ფიროსმანაშვილია. ჩამოგრჩებათ რამეში სოფელი გამარჯვება? არ ჩამოგრჩებათ!

ისევ დიმო წამოდგა და თქვა:

— ეგენი, შვილო, ყველანი, თავიანთი სოფლის მამაიაშვილები არიან. ერთი მამაიაშვილი ჩვენც გვინდა გეგულდეს.

ასე გადაჭრა მოხუცმა დიმომ საკითხი იმის თაობაზე, არიან თუ არა ამ ქვეყნად შეუცვლელი ადამიანები.

ბ ა ლ ა დ ა თ ა ვ ჯ ხ დ ო მ ა ო ე ბ ე

3.

ეაბრამ დავანებოთ თავი ამ, ცოტა არ იყოს, ხელოსტიკურ დავას; ლენინის პარტიამ ამ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე აღსარება და ხალხის სათავეში დაყენება ადამიანები, ვინც თავისი ხელით ააშენა სოციალიზმი. ისინი არიან უბრალო გლეხკაცები და შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწეები; ასეთი შეიწყმა არ ახსოვს ისტორიას. და რამდენი ჰყავს ასეთი კაცი თუ ქალი ჩვენს რესპუბლიკას! ქართველი გლეხკაცის დიდ სიბრძნეს, დაგუბებულს და უგულვებელყოფილს საუკუნეთა მანძილზე, ლენინის ეპოქამ გაუხსნა უფართოესი მასშტაბები და ჰორიზონტები. ნიკო მამაიაშვილი — ერთი მათგანია — ახლის, კომუნისტურის მშენებელი. ეს ახალი შიშველ მიწაზე როდი იბადება. მამაიაშვილს გამოყოლილი აქვს ძველისძველი გუშანი, ძველისძველი ალღო ამ გლეხკაცისა, რომელმაც ათასეული წლების წინ ალაზნის ველზე პირველმა გაიტანა გუთანი, გამოყოლილი აქვს იმისი ალღო, ვის სიბრძნეზეც აავეს მეცნიერებმა თავიანთი მოძღვრება თესლბრუნვაზე; ნიკოს მთელ საქმიანობაში ჩვენთვისაა ძველისძველი სიბრძნე ჩვენი ხალისა, გამდიდრებული იმ სიახლით, რაც უღრესად მოწონავე საბჭოთა მეცნიერებამ მოიტანა. აი, ეს არის მისი წარმატების საიდუმლო, ხელმძღვანელის, კარგი მეურნის ის თვისება, რომლითაც მან მოხიბლა ზემო მაჩხაანიც და მთელი რესპუბლიკაც, უფრო მეტიც — მას იცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში.

იცნობენო? — უხარიათ მისი დანახვა. მოსკოვში, კიევში, მინსკში ნიკო ისეა, თითქოს შინ. ჩასულიყოს. ყველანი ძმები არიან, ყველანი შინაურები...

სადაც უნდა მივიდეს ნიკო — ცხვრის ფერმაში, თუ მემინდვრეობის ბრიგადაში, იმავე წუთში ხედავ რა უჭირს კაცსა თუ მანქანას, ვენახსა თუ მის მოვლეულს. და თავმჯდომარე ასეთ დროს ხალხს კი არ უქადაგებს, არამედ ესაუბრება ადამიანს ისე, როგორც თავის შინაურს, როგორც ძმას, დას, შვილს, როგორც მამახა და შვილიშვილს: ხაცა საჭიროა უბრანეს, ხაცა ხაჭიროა — ნამუსზე შეაგდებს, ხაცა საჭიროა — მოფფერება, ხაცა ხაჭიროა — გაუწყრება.

და ეი როგორია ხალხის გული — სწორედ ამიტომ უყვართ იგი, უყვართ მისი სიმარილე და სამართლიანობა, ენდობიან მას, როგორც თავის თავს; ჩვენი ეკონომიც ეგ არის და ვეკილეო, თქვა ნიკოზე ერთმა ზემომაჩხაანელმა ბერიკაცმა.

მდიდარი სოფელია ზემო მაჩხაანი. კოლმეურნეობამ სასაბელოდ დაამთავრა მერვე ხუთწლედი და ახალი ხუთწლეულის დასაწყისშიც ყველაზე მოწინავეთა რიგებში დგას. ამაზე ყველაზე უკეთ ციფრები იტყვიან. ახალი ხუთწლეულის პირველ წელს ზემომაჩხაანელებმა სასელმწიფოს მიაყიდეს 124 ტონა მატყლი, ნაცვლად გეგმიური 107 ტონისა, 804 ტონა ხორცი და 2.903 ტონა რძე, 2.480 ტონა ყურძენი, 2.803 ტონა მარცვლეული და სხვა პროდუქტები... კოლმეურნეობას 26,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს, საიდანაც 7,7 ათასი ჰექტარი სახნავია. წლევანდელი წლის პირველი აპრილის მონაცემებით კოლმეურნეობას ჰყავს ოთხი ათასამდე სული მსხვილფეხა პირუტყვი, სამი ათას შვიდასამდე ღორი, ორმოცდაცხრა ათასზე მეტი სული ცხვარი, ორმოცდათხუთი ათასი ფრთა ფრინველი.

ზემომაჩხაანელები თავდადებით იდწვიან XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მათ მიზნად დაისახეს მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის მარცვლეულის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 26 ცენტნერამდე აიყვანონ და თითქმის ერთი-ორად გაადიდონ მარცვლეულის საერთო წარმოება, მეცხოველეები იბრძვიან იმისათვის, რათა თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღონ 3 ათასი კილოგრამი რძე, და 1970 წელთან შედარებით 778 ტონით გაადიდონ რძის საერთო წარმოება...

მდიდრად და შეძლებულად ცხოვრობენ ზემო მაჩხაანელები; დაგეგმის ახალ სისტემაზე გადასვლის წყალობით ყველა პირობა შეიქმნა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი გაღიდებისათვის. ამიტომ ყოველწლიურად იზრდება თვითეული კოლმეურნის საშუალო გამომუშავება; აშენდა და დამშვენდა სოფელი, ახლა მას აქვს ყველაფერი, რითაც კი ქალაქმა შეიძლება თავი მოიწონოს — ელექტრობა იქნება ეს თუ გაზი, რადიო და ტელევიზორი, სკოლა და ბიბლიოთეკა, პურსაცხობი და სასადილო, მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ამბულატორია და კავშირგაბმულობის დაწესებულებები, კულტურის სახლი ისეთი, რომ დაამშვენებს რომელსაც გნებავთ საშუალო სიდიდის ქალაქს. ახლა სოფლის ქუჩებში ჩაიარეთ და მათს სახლებს შეხედეთ — კოლმეურნეთა დიდმა უმრავლესობამ სულ ბოლო წლების მანძილზე აიშენა აგურისა და ტუფის ქვის ლამაზი ორსართულიანი კოტეჯები. როგორც ქალაქში, ისე აქაც შემოღებულია ფასიანი შვებულება, მოხუცებს და ინვალიდებს პენსიები ეძლევათ, ახლა ზემომაჩხაანელებს სულ უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ კურორტებზე.

ოცდათხუთმეტი წელია, რაც ნიკო მამაიაშვილი სათავეში უდგას ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას. და აი, ახლა, სოფელი იუბილეს უხდის თავის თავმჯდომარეს. მარტო ზემო მაჩხაანი კი არა, მთელი საქართველო. არ შეიძლება არ მივესალმოთ ამ მშვენიერ თათხონას — თანაც ერთი სურვილი გვინდა გამოვთქვათ: დაე, ნიკოს იუბილე დასაწყისი იყოს იმისა, რომ მადლობა ვუთხრათ ასეთ დიდოსტატებს, **დიდ მშენებლებს, დაფუძნების** დღიდან თავიანთი ღონიერი მხრები რომ შეუყენეს საბჭოთა საქართველოს. მადლობა ვუთხრათ მათი მოუსვენარი დღეებისათვის, მათი უძილო ღამეებისათვის, და ახალგაზრდობას მაგალითად დავუსახოთ მათი ცხოვრება... აქ, ლაპარაკია არა მარტო თავმჯდომარეებზე, არამედ ბრიგადირებზეც, აგრონომებზე, ინჟინრებზე, მწყემსებზე, მევენახეებზე, ყველა იმათზე, ვინც თავიანთი მარჯვენითა და შრომით ალამაზებენ და ამაღლებენ ქვეყანას.

მოდით ვუსურვოთ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ პატრიოტს, ჭეშმარიტ კომუნისტსა და საკოლმეურნეო მოძრაობის სახელოვან ვეტერანს, ახლის დაუცხრომელ მშენებელს, ჩვენს მოუღლელ და დაუცხრომელ, ჭკვიანსა და კეთილ ნიკოს ყოველ დღეგრძელი, იყოს მუდამ გამარჯვებული, მუდამ მწინავე, როგორც დღემდე იყო, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ორგანიზატორი

ᲓᲦᲔᲡ, ᲨᲕᲘᲓ ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲐᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲗᲝᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐᲚᲔᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲪᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ.

ᲓᲦᲔᲡ, ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲗᲝᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐᲚᲔᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲪᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲖᲐᲰᲩᲐᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

7 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲓᲦᲔᲐ

რადიოტექნიკა იპყრობს სამყაროს სივრცეებს

რადიოს გამოყენება ჩვენს ეროში მრავალმხრივი და უნივერსალურია. ძნელია უბრალოდაც კი წარმოიდგინო რადიოტექნიკის განვითარების მასშტაბი და მისი გამოყენების სფერო. ვის გააკვირვებს დღეს ცნობა იმის შესახებ, თუ რა მოხდა გუშინ შორეულ საზამთრო ბანაკში, ან საშობლოდან შორს მყოფ გემზე? მეზღვაურები ხომ ჩვენთან რადიოთი არიან დაკავშირებულნი და შესაძლებელია მათგან სასურველ დროს ცნობის მიღება. არქტიკასა და ანტარქტიდაში მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობაც ხომ რადიოს განვითარებასთან არის დაკავშირებული. მან დიდი როლი შეასრულა პოლარული რაიონების შესწავლის საქმეში.

რადიომ საშუალება მოგვცა უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ სატელეფონო საშუალებანი, რადიოტექნიკის მეთოდების გამოყენებით ერთი სადენით

ახალი ლექსები

წაუკითხეთ ჯაფარიძეს

ნოდარ შამანაძე.

ცხრათვალა მზე

კოლექტივის თეთრმა ფარამ
მთის ფერდობი გადეფარა.
გაიცინა მზემ ცხრათვალამ:
— ბარაქალა, ბარაქალა!
ეს მანქანა ჩაისა კრეფს,
მანქანა და რა მანქანა!
მზემ ნახა და გაიხარა:
— ბარაქალა, ბარაქალა!
გოგომ ვამლი ჩამოკრიფა,
ბებიასთან გაიქანა.
მზემ გოგონას გადმოხედა:
— ბარაქალა, ბარაქალა!
მზემ ბიჭები დააკაცა,
გოგონები დააქალა,
მზეო, მუდამ იკაშკაშე:
— ბარაქალა, ბარაქალა!

ცუცა და გია

— გაიმალა ოქვენ სოფლიდან, დაიბანე, ვინ ხილი.
— შენ მიირთვი, ცუცა,
მე ახლახან გავახილი.

უნდა ვთხოვო



ხვალ შაბათი,
ზეგ კვირა,
სოფლად მიდის,
ზემფირა.
ვულს ნთელი
მეფინა,
უნდა ვთხოვო
ზემფირას,
თანაუბნელ
დარეკოს:
იქნებ ხალვა
წამოღოს.
ჩემს საყვარელ
ბებიას
ხალვა მონატრებია.

გუგული და ოლაღური

— მგზრალები, მოლაღურო,
ოავს ეკლები ყველა შვილს,
კინოში ხომ არ დადიხარ,
არ დადიხარ თეატრშიც.
— საბრალო და საცოდავი
შენ თვითონ ხარ, გუგულო, —
ჩვენს ბუღეში კვერცხებს რომ
დებ,
უქნარავ და უგულო.

შეგიკონავ თაიგულს

წამსვე წამოვფრინდები,
რომ იელვებს დილის ჟამი,
გავალ, გვინავარდებ
შარახა და ბილიკზე.
მერე ტყისკენ გავუხვევ,
მინდორ-მინდორ ვივლი მე,
დავკრეფ იებს, ენძელებს,
ყაყაჩოებს, გვირილებს...
შეგიკონავ თაიგულს
ლამაზ ყვავილებისგან,
საყვარელო ბებიავ,
ჩემო კარგო ბებია.

ულრსი შვილები

დედა დათვი ავად არის,
მიმხედავი არ ყავს,
ერთი შვილი დაღლაბუცობს,
დახტის, ფოთლებს, ფანტავს.
სადღაც სძინავს მეორესა,
ესიზმრება პანტა.
მესამე კი ხეტიალობს
ალთასა და ბალთას.
ტირის, ტირის დედა დათვი,
მიმხედავი არ ყავს.

ქართული სატელევიზიო

ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთმა პიონერმა ვასილ ამაშუკელმა 1912 წელს გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში". იგი თვითონ იყო რეჟისორიც, ოპერატორიც, ასისტენტიც... საკუთარი მხრებით დაატარებდა მთაში თუ ბარში აპარატს, უფრთხილდებოდა ყოველ მეტრ ფირს, რომელიც იმ დროს ძალიან ძვირი საღირალი იყო. მან ყველაფერი შესწირა კინემატოგრაფის. რადგან იცოდა, რომ ამით სამეცნიერო საქმეს აკეთებდა.

დღეს მაყურებელი ისე შეეჩვია ეკრანს, რომ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია ახალი ფილმის შექმნა. საქმეში ჩაუხედავი ადამიანი ვერც ამჩნევს, რა სიძნელეებს დაძლევა უხდება გადამღებ ჯგუფს...

საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია მეხუთე წელია არსებობს. სიძნელეები, რა თქმა უნდა, ამ სტუდიასაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ახალბედა კოლექტივის ენთუზიაზმმა და მონდომებამ თავისი გაიტანა. დღეს ქართული ტელეფილმების სტუდიას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც. დაარსებიდან დღემდე გადაღებულია 100-მდე მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური დ მუსიკალური ფილმი. ზოგიერთმა მათგანმა წარმატებით შემოიარა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ეკრანები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიას ბევრი ჯილდო დაუმახსოვრებია.

რომელი ერთი დავასახელოთ. საკავშირო ტელეფილმების ფესტივალებზე მიღებული მთავარი პრიზები თუ საზღვარგარეთ — იტალიაში, შვეიცარიაში. ავსტრალიასა და გერმანიაში გაბართულ ფესტივალებზე მიღწეული წარმატებანი? ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით შარშან სატელევიზიო ფილმების სტუდიამ გამოუშვა 12 სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომლებიც გაერთიანდნენ საერთო სახელწოდებით „საბჭოთა საქართველოს მატიანე". ორი წლის განმავლობაში დაძაბულად მუშაობდა სტუდიის მთელი კოლექტივი ამ მატიანის შესაქმნელად.

სატელევიზიო ფილმების სტუდია აგრძელებს მატიანეზე მუშაობას. ამჟამად მიმდინარეობს გადაღება დოკუმენტური ფილმისა „წელი 72", სადაც აისახება მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც მოხდება ამ წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

რეჟისორი თ. ნოდაძე კ. გარდაფხაძის სცენარის მიხედვით იღებს სრულმეტრაჟიან სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმს „საბჭოთა საქართველო", რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ტელემაყურებლები მალე იხილავენ ამავე რეჟისორის ფილმს „მიხეილ ჯერგიანი".

სატელევიზიო ფილმების სტუდია გადაიღებს ფილმებს ენგურჰესის მშენებლობებზე, ჭიათურელ მაღაროელებზე, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხაკო ორეგელიძეზე, შეიქმნება „საქართველოს ალბომი", რომლისთვისაც წელს გადაიღებენ ფილმებს მესხეთ-ჯავახეთსა და მთათუშეთში.

„საუნუფე ყვავილებთან" — ასე ეწოდება მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, რომლის გადაღება აღლახან დამთავრდა. იგი მოგვითხრობს მცხეთელ მინდიაზე, ყვავილთა შესაიდუმლე მიხეილ მამულაშვილზე. ამჟამად ამ ფილმის სცენარის ავტორია ივ. მესხიშვილი. რეჟისორ - ოპერატორი ი. ნაგორნი.

სატელევიზიო ფილმების სტუდიაში იღებენ მოკლემეტრაჟიან ფილმს „ქართული ნუმიზმატიკა". სცენარის ავტორები არიან დ. კაპანაძე და ვ. გაგუა, რეჟისორი მ. გაგუა.

სსრკ სახალხო არტისტის სერგო ზაქარიაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომლის სცენარის ავტორია დ. ბოკერია, რეჟისორი დ. ბათიაშვილი.

ქართული სატელევიზიო სტუდიის მუსიკალური ფილმები დიდი მოწონებით სარგებლობს. მაყურებელმა გულთბილად მიიღო „ყოლსური სიუიტა", „ძველი თბილისის მოტივები", „ორეული სრული სვლით". ახლა სტუდიაში მიმდინარეობს მუშაობა ფილმებზე: „ქალაქური სიმღერა", „დავით გამრეკელი", „ძველი ქართული ხალხური სიმღერები", „ჩანგური", „კონცერტი-72".

ტელეფილმების სტუდიას მხატვრული ფილმების შექმნის მდიდარი ტრადიცია აქვს. მოვიგონოთ მისი „დედის ხელი", „ქორწილი", „მყუდრო სავანე", „ქვევრი", „ხაბაზები"... ესპანური ნოველის მიხედვით ახალგაზრდა რეჟისორები ბ. ხოტივარი და გ. ხოკავა იღებენ სრულმეტრაჟიან მხატვრულ სატელევიზიო ფილმს „ლაზარე".

— ჩანაფიერი ბევრი გვაქვს. საუბილეო წელს, საბჭოთა კავშირის ორმოცდაათი წლის ზეიმის ჟამს, კვლავ განსაკუთრებით კარგად ვიმუშაოთ, — გვეუბნება სატელევიზიო სტუდიის მთავარი რედაქტორი ა. ჭიჭინაძე, — ეს წელი მრავალ ახალ ფილმზე მუშაობით დაიწყო. სტუდიაში ნაყოფიერად მოღვაწეობენ გამოცდილი რეჟისორები და ოპერატორები. მათგან ბევრს ველით...

სტუდიაში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. დღე დღეს მისდევს. იქმნება ახალი ფილმები: მხატვრული, დოკუმენტური, სრულმეტრაჟიანი თუ მოკლემეტრაჟიანი, იქმნება ქართული სატელევიზიო...

მანანა ლომაძე.

• • •

სურათებზე: კადრები სატელევიზიო ფილმებიდან — „ძველი თბილისის მოტივები" (ზემოთ), „ქვევრი" (ქვემოთ).

ოქია

მოთხრობა

ამაკაჩემი პირველ ჩხუბში დაიღუპა, იტყოდა ხოლმე ომია, როგორც ბებიისგან გაეგოთა.

გახურებული ომი ყოფილა, რაც ომია დაბადებულა. იმ დილით ომიას მამაც წაუყვანიათ ომში. გაჭირვება და დარდი მწვავედ უგრძვნია უკაცო ოჯახს. ომია კი თუმცა ბებიის კალთაში ბუნაობდა და დარდს ანახვრეტდა, იზრდებოდა და სიცოცხლე უმატებდა, ერთი წუთით თვალი არ მოშორდებოდა, დედასა და ბებიას მუშაობის სახსარს არ აძლევდა. გაგიხარიან, ეხვირპარი იმას ჰქონდა თურმე ჩაჩეჩქვილი.

— ჩემი ომია ბიჭი, — მოუფრებოდა ხოლმე ბებია, როცა დაქანცული ბიჭს აიღნაბ ჩაიძინებდა.

ომია ბიჭი მამის ბადლად დაბადულს და მამის სახელიც — შაქრო დაარქვეს. მაგრამ შეტსახელი „ომია" მტკიცედ შერჩა და „შაქროს" მარტო დედა და ბებიაღა ეძახდნენ.

მერე ერთ წელიწადში ქვეყანა გადაბრუნდა, ზავი ჩამოვარდა, მაგრამ ომიას მამას კი სად აბოჭეს სული, არავინ იცოდა.

ომიამ სასკოლო ჩანთა დაიჭირა ხელში. ომია, ომია — დავაბიდოდი გოგო-ბიჭები, ვინც უცხოდ გაიგონებდა, გაგვიჯავრდებოდა, აბა ეგ რა სახელია, მშვენიერი ბიჭშვილი, ომია რასა ჰქვია!! — წიგნის სახელი შაქრო ჰქვია-თქო, — მივაშველებდით პასუხს გოგო-ბიჭები.

მერე ომიას დედა გაჩყდა...

ბიჭი ბებიის კალთას გამოეკა.

ძალიან ყიმაყრა მეხლი ბებიამ. დიდი ვალი დაედო ბებერ ზურგზე. გაჭირვება მიჩვეულ და გაქცევას ჯიჩვენები, იტყვიან, და ბებიაც ტრიალებდა ვენახში სამუშაოდ. გაფურჩქნა, შეეფლო თუ აკლერტყა კარგად შეეძლო და დამარავა-გათოხნასა თუ შეწამვლაში ხელის შემშველებელი არ დაელეოდა. ამ ნათესავთ უმჯობესი მეზობლების წინაშე მუდამ ვალში რჩებოდა. რა უშავდა, გაიზრდებოდა ომია და ყველას გადაუხდიდა სამაგიეროს.

და იზრდებოდა ომია, რომ იტყვიან, „მტრისაც საამური". ეჰ, ე რა კარგი ბალღია, ეტყოდნენ ბებიას ვაშლაღოყებიან ომიაზე.

— კარგი კი არა, ომია, ომი, მაწყალებს, ადამიანო, ძალიან მაწყალებს, — უპასუხებდა ბებია და მინაოქვებულ ტუჩებში სიყვარული დაეხატებოდა.

არც მშობლითან კრებას აკლდებოდა ომიას ბებია. ხოგიდოდა სკოლიდან და გასძახებდა უბნის ბიჭებში დაკარგულ ომიას. მოიყვანდა და უსაყვედურებდა — რუსულის მასწავლებელმა გადამიშალა შენი რვეული და ჩამახედა შიგ, აი რამდენი შეცდომები აქვსო. მერე გვერდში მდგომს რუსულად გადაულაპარაკა რაღაცა შენზე და მივხვდი, ძალიან „სლაბაია", თქვა.

— მერე „სლაბი" ცუდია? შეეცდებოდა სიცრუეს ომია.

— მაშ არა და კარგია, ბი! სირაჯი რომ ჩამოვიდოდა ქალაქიდან, ჩაიყენებდა პირში ოვინოსა, გამოირეცხავდა პირსა, მერე ერთ ყლუპს გაუსინჯავდა გემოსა და თუ არ მოეწონებოდა, „სლაბი" ღვინოაო ხტყოდა. ომიას რაღა ეთქმოდა, წამოავლებდა ხელს გოთასა და კოჭურს და ბიჭებში გაგარდებოდა.

მერე ბებიამ გულში დარდი აღარ ჩაიყოლა. თვალწინ დაიყენა ჩვენი სკოლის გამგე მირიანი. დიდი სწავლული კაცის სახელი ჰქონდა, მრავალი ენა იცოდა, ჩხირივით კი იყო ჩამომდგარი. ომიას ბებიასა და სხვანაც ფიქრობდნენ, მირიან მასწავლებელი მეტისმეტი სწავლით არის ასე გამხდარი. ომიას კი ლოყები ზედ ასკდებოდა. რა ვქნა, აბა, ოღონდ ჯანსაღად იყოს და რუსულ ჯარშიც ისწავლოსო, დაიმშვიდა გული ბებიამ.

კი იყო, მართლაც, საღად ომია. „ტარარანა რანინა", დაეწყობდნენ ბიჭები სიმღერას საჭიდაოს ბმაზე, როცა ომიას დაინახავდნენ, მერე უცვე გახურდებოდა: „ტარანინას რა უნდა, წამოვიდეს უნდა!" ცოტა ხანიც, და ომია ბაშაჩუკიკით წამოიგდებდა მოწინააღმდეგეს.

...ერთხელ შევდით ჩვენს საკლასო ოთახში და ვუდგა — კედელზე ჩემი სახელია ლურსმნით ამოკაწრული. რაღა თქმა უნდოდა, მახი შემოქმედი ბიჭი იყო. რაც ომის დამწერმა ლურსმნით კედელს დაკალო, ეზოში ერთი წვეტიანი ქვა ვიპოვნე, მე გადავუთავე, დამინახა მირიან მასწავლებელმა და გვეზელ ქორივით დამჭყვიტა.

ერთ დილას სკოლაში ადრე მივედი, ვხედავ ჩვენი კლასის კედელთან მიყუდებულა ომია და რაღაცას კაწრავს, თან ვითთმ არაფერიაო, სხვა მხარეზე იყურება. მალე გაეცალა იქაურობას. გოგო ბიჭებიც მოგროვდნენ, ვაკვაპარე კედლისაკენ თვალი — და — ისევ იმ ულამაზო ხელით დაწერილი ჩემი სახელის ოთხი ასო.

არდადეგებიც იწყებოდა, როცა ბებიამ პირველ ჩხუბში დაიღუპა, იტყოდა ხოლმე ომია, როგორც ბებიისგან გაეგოთა.

...ეროსელ ჩვენს ეზოში ერთ-ერთ ოთახში ერთ ოჯახი ცხოვრობდა. ბებია, ბაბუა, ბიჭი, ბიჭის ცოლი, ბიჭის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვის ბავშვი, ბიჭის ბავშვ